

გაკვეთილი 6

ფინანსურ რესურსებზე

ხელმისაწვდომობა

საბანკო პროდუქტები

ნაწილი 3

POS ტერმინალები

ელექტრონული ტერმინალებით სავაჭრო და მომსახურების ობიექტების მომსახურება უზრუნველყოფს გაყიდვების ზრდას, მომსახურების გაუმჯობესებას, გამარტივებული აღრიცხვას. მაღალი ხარისხის მომსახურება ბიზნესის წარმატების ერთ-ერთი პირობაა.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ელექტრონული ტერმინალით მომსახურება ფასიანია. მომსახურების ტარიფი 2.5 %-მდეა. აქედან გამომდინარე უნდა მონდეს განსაზღვრა ბიზნესის სფეროებიდან გამომდინარე რამდენად გაზრდის შემოსავლებს ელექტრონული ტერმინალით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

მაგალითისთვის! არსებობს მყიდველთა კატეგორია, რომელთათვისაც ფასზე მეტად პრიორიტეტულია კომფორტი. ამისათვის ის მზადაა საქონელში ან მომსახურებაში გადაიხადოს შედარებით მეტი, ოღონდ მისთვის შექმნილი იყოს კომფორტული გარემო. ხშირ შემთხვევაში, პალსტიკური ბარათებით ანგარიშსწორებისას ბარათის მფლობელი მომსახურე ბანკისგან დებულობს გარკვეულ ბონუსებს (მაგ. სავაჭრო თანხის გარკვეული % უბრუნდება ანგარიშზე - “cash back”), ასევე საკრედიტო ბარათებით ანგარიშსწორებისას მას არ მოუწევს განადღების საკმაოდ მარალი საკომისიოს გადახდა. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით მყიდველისთვის ხშირად პრიორიტეტულია კომფორტული და არა იაფი მოსახურება.

ინდივიდუალური სეიფები

ინდივიდუალური სეიფი გონივრული გადაწყვეტილებაა მათთვის, ვისაც სურს საიმედოდ შეინახოს ფასეული ნივთები, დოკუმენტები, ფასიანი ქაღალდები, ფული, სამკაული, მხატვრული და ანტიკვარული ფასეულობები, ელექტრონული ინფორმაციის მატარებლები. ეს სერვისი საკმაოდ კომფორტულია მათთვის, ვინც ხშირად იმყოფება საქმიან მივლინებაში. ბანკი მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა ზომის სეიფებს. ზომის მიხედვით ფასებიც განსხვავებულია

საინკასაციო მომსახურება

თუ გსურთ ფულადი სახსრების უსაფრთხოდ ტრანსპორტირება, შეგიძლიათ ისარგებლოთ ბანკის საინკასაციო მომსახურებით. თანხების ოფისში მიტანას/ოფისიდან წაღებას განახორციელებენ სათანადოდ აღჭურვილი ინკასატორები ჯავშნიანი ავტომობილებით. ბანკის საინკასაციო მომსახურების სერვისი საშუალებას გაძლევთ მაქსიმალურად იყოს დაზღვეული უსიამოვნო ინციდენტისგან ფულისა და ძვირფასეულობის ტრანსპორტირების დროს.

სწრაფი გზავნილები

ბანკები ჩვეულებრივ გადარიცხვებთან ერთად, კლიენტებს სთავაზობენ სწრაფ გზავნილებს. სწრაფი გზავნილი ეს არის გადარიცხვის ერთ-ერთი სახე, რომელიც ჩვეულებრივი გადარიცხვისგან შედარებით გამოირჩევა სისწრაფით. ანუ გზავნილის მიღება შესაძლებელია 10-15 წუთის განმავლობაში. ჩვეულებრივ გადარიცხვის დროს (თუ ეს სხვა ბანკში ეს დრო შეადგენს 2-3 საათიდან 1 დღემდე). სწრაფი გზავნილის დადებითი მხარეებია: მომსახურების სისწრაფე, თანხის გადარიცხვა-მიღება ანგარიშის გაუსხნელად, თანხის მიღება შესაძლებელია რამოდენიმე ბანკში (რომლებსაც აქვს კონკრეტული გზავნილი) უარყოფითი მხარეებია: მომსახურების ტარიფი და გადასარიცხ თანხაზე შეზღუდვა

დისტანციური მომსახურება

ტრადიციული საგადახდო ინსტრუმენტების პარალელურად ვითარდება დისტანციური საბანკო მომსახურება, რომლებიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს საბანკო ოპერაციები განახორციელონ სხვადასხვა ელექტრონული არხის გამოყენებით. ბანკები კლიენტებს სთავაზობენ დისტანციურ საბანკო მომსახურებას, რაც საშუალებას იძლევა, რომ კომპანიამ

ანგარიშზე თანხის არსებობის შემთხვევაში ბანკში მოუსვლელად აწარმოოს საბანკო ოპერაციები. დისტანციური მომსახურებით თქვენ დაზოგავთ დროს და აიცილებთ თავიდან ბანკში არსებულ რიგებსა თუ სხვა დისკომფორტს. დღეისათვის შეიძლება გამოვყოთ ქვეყანაში მოქმედი დისტანციური საბანკო მომსახურების შემდეგი ყველაზე გავრცელებული სახეობა:

- **ინტერნეტ ბანკინგი/ბანკი-კლიენტი:** ეს არის სრული საბანკო მომსახურება ინტერნეტის საშუალებით; მისი უპირატესობაა: ანგარიშების სწრაფი და მარტივი ხელმისაწვდომობა კლიენტისათვის სასურველ დროსა და ხელსაყრელ ადგილას; მონიტორინგება; უსაფრთხოება. ინტერნეტ ბანკის მეშვეობით ბანკში მოუსვლელად თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია ბანკში დანერგილ ახალ სერვისებზე.
- **ავტომატური გადარიცხვები:** შესაძლებელია ბანკს მისცეთ მუდმივი დავალება, რის საფუძველზეც თქვენ შეგიძლიათ სწავლასხვა გადასახადების ავტომატურად გადახდა. ეს სერვისი საკმაოდ კომფორტულია მომხმარებლისათვის და ის აგაცილებთ რიგებს და დაგიზოგავთ დროს.
- **SMS ბანკინგი** - ეს არის საბანკო მომსახურება მობილური ტელეფონის მეშვეობით. კონკრეტულად თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია თქვენს მიმდინარე ანგარიშზე განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.
- **ტელეფონბანკინგი** - ეს ნიშნავს ინფორმაციის მიღებას ტელეფონის მეშვეობით. ბანკში მიმდინარე ანგარიშის გახსნის დროს თქვენს მომსახურე ოპერატორი აუცილებლად გაითხოვთ კოდურ სიტყვას, ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი სიტყვა, ციფრების ან ასოების კომბინაცია, რომლის ცოდნაც აუცილებელია ტელეფონის მეშვეობით ინფორმაციის მისაღებად. ეს სერვისი კომფორტულია იმისთვის, რომ ბანკში მოუსვლელად გაიგოთ ინფორმაცია თქვენ საბანკო ანგარიშებზე არსებული მდგომარეობის გასაგებად.

- **სახელფასო პროგრამა** - სახელფასო პროგრამა ამარტივებს ორგანიზაციაში ხელფასის გაცემის პროცედურას. კერძოდ: ორგანიზაციის მიერ ხელფასის ჩარიცხვა ხდება ბანკის პლასტიკურ ბარათზე, რაც თავიდან აგაცილებთ ხელფასის უწყისით გაცემით გამოწვეული დისკომფორტისგან. ასევე ორგანიზაციის თანამშრომლებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ განსაკუთრებული შეღავათებით ბანკის პროდუქტებსა და მომსახურებაზე. ხშირად ბანკები სახელფასე პროექტში ჩართულ ორგანიზაციებს სთავაზობენ სესხებს ხელფასის 500-1500 %-ის ერთი ან ორი თანამშრომლის თავდახდებით. ანუ სახელფასე პროექტში ჩართულმა თანამშრომელმა იცის, რომ სამომხმარებლო სესხი მას დამტკიცებული აქვს ბანკში და სესხის ასაღებად მას დასჭირდება მხოლოდ თავდახდა და ის დროს, რაც საჭიროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად. დამატებით მას შეუძლია ისარგებლოს ოკუპირაფტით, ხელფასის 90-დან 200 %-ის ოდენობით. ამ სერვისით თქვენ კომფორტს უქმნით თქვენს თანამშრომლებს და ამასთანავე თქვენი პასუხისმგებლობა სესხის დაბრუნებაზე არ დგება ბანკის წინაშე.

- სწრაფი გადახდის აპარატები-საქართველოს საგადახდო ბაზარზე მაღალი ტემპით ვითარდება ნაღდი ფულის მიმღები სწრაფი გადახდის აპარატების ქსელი, რომლებიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მოხერხებული და ოპერატიული გზით განახორციელონ სხვადასხვა ტიპის გადახდები.

- **სახაზინო პროდუქტები** - ბანკები კომპანიებს სთავაზობენ სახაზინო პროდუქტების ფართო სპექტრს. კერძოდ:
 - სწავლასხვა ვალუტის ყიდვა გაყიდვის ოპერაციების წარმოებას საგალუტო ბირჟაზე
 - კონვერტაცია კომერციული კურსით
 - კონვერტაცია განსხვავებული კურსით- მსხვილი თანხის კონვერტაციის დროს თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ ბანკს განსხვავებული კურსი. ხშირ შემთხვევაში, თუკი თქვენი მხრიდან არ იქნა მოთხოვნილი კურსის ცვლილება, ბანკები არ სთავაზობენ კლიენტებს განსხვავებულ კურსს. ამიტომ სასურველია თანხის კონვერტაციის დროს კლიენტი ინფორმირებული იყოს ბირჟაზე არსებულ გაცვლით კურსებზე, რომ ბანკს მოითხოვოს შესაბამისი კურსი, რომელსაც ბანკები ხშირ შემთხვევაში აკმაყოფილებენ. დაიმანსოვრეთ: ბანკის საინფორმაციო ტაბლოზე გამოტანილი გაცვლითი კურსი თქვენი მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია თქვენს სასარგებლოდ შეაცვლიყვინოთ, თუკი თქვენ ახდენთ სოლიდური თანხის კონვერტაციას.

- ფიზიკური გარიგება, ანუ მომავალი პერიოდისთვის წინასწარ შეთანხმებული კურსი.

პლასტიკური ბარათები კომპანიებისთვის

(Business VISA)

ბიზნეს ბარათი საბანკო პლასტიკური ბარათია, რომელიც კომპანიის მფლობელებს თავიანთი კომპანიის საბარათე ანგარიშის განკარგვის საშუალებას აძლევს. ბარათით შესაძლებელია ანგარიშსწორება სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში, თანხის განაღდება ბანკომატიდან და ბანკის პოს-ტერმინალიდან, ვალუტის კონვერტაცია და კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ოპერაციების განხორციელება.

ვიზა ბიზნეს ბარათს სავაჭრო ობიექტებში გადახდის, ასევე ბანკომატებსა და პოს-ტერმინალებში განაღდებას მაღალი დღიური ლიმიტები აქვს. გარდა ამისა, ვიზა ბიზნეს ბარათის გამოყენება ბიზნეს კლიენტებს გაუადვილებს კომპანიის ხარჯების აღრიცხვასა და კონტროლს.

ბიზნეს ბარათის გამოყენება ძალიან მოსახერხებელია, მაგალითად, კომპანიის თანამშრომელთა მივლინებაში ყოფნისას, კომპანიის სახელით შესყიდვების ან გადახდების ელექტრონულად განხორციელებისას, ან სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობისას თუ მასპინძლობისას, რაც შესაბამისი ხარჯების გაწევას გულისხმობს

- ბარათი განკუთვნილია ორგანიზაციების წამომადგენლობითი, სამივლინებო და სამკურნეო ხარჯების დასაფარავად . იგი საშუალებას იძლევა კომპანიის ანგარიშზე რიცხული თანხები გამოყენებულ იქნეს საქმიანი გარიგებების უზრუნველსაყოფად მსოფლიოს ნებისმიერი ვალუტით. აღნიშნული ბარათით განხორციელებული გადახდები კომპანიის ბუღალტერიაში მარტივად შეიძლება იქნეს ასახული .
- Business VISA ბარათები აუცილებელია სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად.
- ბარათის მფლობელები ზოგადად დროს და თავიდან იცილებენ ისეთ დისკომფორტს, როგორცაა საჭირო დროს მომსახურე ბანკის სისწორე, სამუშაო საათების დასრულება, დასვენების დღეები და ა.შ.
- თავიდან გაცილებთ ნაღდი ფულის ტარების აუცილებლობას.